



საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 ივნისი, ხუთშაბათი, 1989 წ. № 109 (10028) შპსი 3 კაპა.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

დღეს მოსკოვში ქრისტეანთა სპორტული მუშაობას განაგრძობს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პრილოვა.

გაუზინ გაიზარა კავშირის საბჭოსა და პროვინიათა საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა.

პრილოვის მასალაში ვიც-ლად ცენტრალურ და რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა.



საქართველოს ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში

ფონი, როგორც

სურათი გააფუჭა

სინქრონულ ცურვაში საქართველოს ჩემპიონატი მუდამ გამოირჩევა ორგანიზებულობით... ამ შეჯიბრებებს ტრადიციულად აღამაზებდა მუსიკალური ფონი, რომლის თანხლებითაც სინქრონული ცურვის ოსტატები ასპარეზობენ.

რათა სპორტსმენებს რიტმულია არ დარღვეოდა. როგორც საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ნატალია მამუკა გვიხარა, სპორტსმენებს აგრე უკვე თითქმის ნახევარი წელიწადია ვარჯიშებზე ასეთი გასაჭირი აქვთ. მისი სიტყვებით ჩვენი გუნდის წევრები ქვეს ხანს უბრუნდებიან და მუსიკის ნაცვლად ახე კაკუნით ცდილობენ ფონს გასვლას.

OK 2 33

სურათზე: ბრისტინა ფალახინი (მარცხნივ) და ნინო მალურაძე ასპარეზობისას; ჩვეულებრივ ასპარეზობაში გამარჯვებული თბილისელი გოგონები. ავტორის ფოტოები.

პირველად საზღვარგარეთ

საერთაშორისო ოსტატის ბალის (7 ქულა) შესასრულებლად სულ რაღაც ნახევარ-ნახევარი ქულა დააკლდა ოსტატ ნათია ჯანჯღავასა და ოსტატობის კანდიდატ სოფიკო ნიკოლაძეს (ორივემ 6,5-6,5 ქულით IX-XIV ადგილები გაიყვანა) ქალთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ბულგარეთის ქალაქ პრიორსკოში ჩატარდა. შეჯიბრებაში (შევიტარიული ასტრემა, 11 ტური) 47 მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათ შორის ერთი საერთაშორისო დიდოსტატი (მარგარეტ ვოსიკა), 10 საერთაშორისო, ეროვნული ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები იყვნენ.

კიდევ ერთმა ჩვენმა თანამემამულემ — ოსტატობის კანდიდატმა ნინო ხურციდემ 5 ქულა დააგროვა. აღსანიშნავია, რომ ეს ჩვენი გონივრული პირველი გამოდიოდნენ საზღვარგარეთ.

I-II ადგილები კი 8-8 ქულით გაიყვეს. ტატიანა სტეპოვიამ და მაია რანიკუმ. 7,5 ქულით III ადგილზე გავიდა ტატიანა შუმიკინა.

ლიდერობა განიგებენ

როგორც ჩანს, მსოფლიოს ექსპერიმენტი ანატოლი კარპოვი კარგ სპორტულ ფორმაში შეხვდა მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშების V ეტაპს. მან IV ტურშიც გაიმარჯვა (პოლონდელი იან ტიმიანთან შეხვედრაში) და 3,5 ქულით ერთობლივად ლიდერი გახდა. კარპოვს ნახევარი ქულით ჩამორჩება ვალერი სალოვი, რომელმაც ამ დღეს უნგრელი დიულე საქსი დაამარცხა. რაფელ ვაპანიანის ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი შეხვედრა არტურ იუსუპოვთან და ამიტომ ყოფილ ლიდერს, იუსუპოვს 2,5 ქულა დარჩა.

საქველმოქმედო ფონდი ძალაუბს იპრებს

გაიზარა საქართველოს სიყვანსალისა და სპორტის რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდის მზრუნველთა საბჭოს მორიგი სხდომა. სხდომის უძღვებოდა მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ქალაქში ნონა გაფრინდაშვილი. მოსმინეს ფონდის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის გ. ზენაიშვილის ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ, დაამტკიცეს მომავალი საქმიანობის გეგმა.

თავმჯდომარის მოადგილე სხდომაზე აირჩიეს სპორტის დამსახურებული ოსტატი რომან რურუა.

გაუზინ გეგნობს, რომ სიყვანსალისა და სპორტის რესპუბლიკური ფონდში 5.000-5.000 მანეთი ჩარიცხვს თბილისის შალის საერთაშორისო ფაბრიკამ და საქართველოს ყრუთა საზოგადოებამ, ტრიკოტაჟის ფაბრიკამ „ბახტრიონმა“ ფონდში შეიტანა — 3.000 მანეთი, ავრომრეწვის მუშაობა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტმა — 4.000 მანეთი, გაერთიანება „თბილრემმა“ — 2.000 მანეთი, კავშირთა დართვის ფაბრიკამ 1.000 მანეთი.

გონა გააფუჭილი გააგრძელებულა კვარცხლბეგზე

პარაშაპ. პოლონეთში ჩატარდა ველოსიპედისტთა საერთაშორისო შეჯიბრება „გრან-პრის“ პროგრამით სატრეკო სახეობებში. ერთ კილომეტრზე გიტი (აღვილიდან) ტულელმა ვლადიმერ სტრახოვმა მოიგო — 1.06,447. ეს არც ისე ურთულ შედეგია თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შეჯიბრება შეტანილი ბერონის საფარიან ტრეკზე ტარდებოდა. მეორე ადგილზე გავიდა თბილისელი გონა ბეჟაშვილი — 1.07,688, მესამეზე — პოლონელი იანუშ დემბროვსკი — 1.08,447.

სოციალისტური ქვეყნების დიდი პრიზი სპრინტში პოლონელმა ვეცლავ ბურდელიაკმა მოიგო. მან უკან ჩამოიტოვა ახალგაზრდა ტულელი სპრინტერები იური ნესტეროვი და მიხეილ სვიატცევი.

წოდების მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

ბოლქვაძეს (თბილისი, „შრომითი რეზერვები“), დავით კაკალაშვილს (თბილისი, პროფკავშირები), მერაბ ჩხაიძეს (ბათუმი, პროფკავშირები). ზაზა ხურცილაძეს (ახლემი, პროფკავშირები), გიორგი ადვიშვილს (თბილისი, პროფკავშირები), კახაბერ კუჭაშვილს (თბილისი, პროფკავშირები) დამირ კირცხალიას (თბილისი, შეიარაღებული ძალები).

საბავთა კეტბურთელების პირველი საკავშირო ჩემპიონატის საწყის ეტაპს საკმაოდ ვრცელი გეოგრაფია აქვს — სამ ჩვეულებრივ

საბავთა კეტბურთელების პირველი საკავშირო ჩემპიონატის საწყის ეტაპს საკმაოდ ვრცელი გეოგრაფია აქვს — სამ ჩვეულებრივ

პირველი ჩემპიონატის პირველი შედეგები

დაყოფილი გუნდები კრასნოიარსკში, სიმფეროპოლსა და ტირასპოლში ასპარეზობენ. კრასნოიარსკში მასპინძლებმა და-



ამარცხეს უფლებები — 13:1, კიეველებმა — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი — 24:4, ვილნიუსის „უალგირისმა“ — ბრატსკის „ბრატსკი“ — 30:1. სიმფეროპოლში ბაქოს „არაზმა“ მოუგო ტალინის „კალეგს“ — 10:9, ბლავნიის აკემ — ზაბაროვსკის „გოსსოდს“ — 16:2. მასპინძელთა და მოსკოვის გუნდების შეხვედ-

რაში იმარჯვეს პირველებმა — 22:7. ტირასპოლში მარცხი განიცადა მოსკოვის კიდევ ერთმა გუნდმა — უმაღლესი ტენიკური სასწავლებლის წარმომადგენლები დამარცხდნენ ტაშკენტელებთან — 3:13. თბილისელმა კეტბურთელებმა მოუგეს კაუნასის „აულს“ — 8:4, ტირასპოლელებმა — გორკელებს — 10:0.

გულწრფელად ნაპარნახავი



პარადავა ცნობილი ის დიდი დანტერესება, რასაც უცხოეთში მცხოვრები ქართველი ებრაელები თავიანთი მეორე სამშობლოსადმი — საქართველოსადმი იჩენენ. ეს დანტერესება ვლინდება ცხოვრება და ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში და იგი სულ უფრო პროგრესულად ვითარდება. ამ დღეებში ჩვენთან სტუმრად აღმობრუნდა ბატაშვილი. იგი თბილისში დაიბადა და აღიზარდა. დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. იყო ველოპედაგოგის ინსტიტუტის მრავალგზის ჩემპიონი გიტებში და სპრინტში, ასრ კავშირის ჩემპიონატის სამგზის პრიზიორი, „სპარტაკის“ საკავშირო პირველობის ორგზის გამარჯვებული, ხალხთა პარტიკიადების პრიზიორი... დიმიტრი ბა-

ტაშვილი სამი წლის წინათ წავიდა საქართველოდან. გუშინწინ იგი „ლელოს“ ეწვია. ● საქართველოში ბოლო ხანებში ბევრ ჩვენს ყოფილ თანამემამულეს ვხვდებით, ზოგი ტურისტად, ზოგიც საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად ჩამოდის. თქვენი ჩამობრუნება რას შივავწოთ? — მე ნიუ-იორკში ვცხოვრობ. ვმუშაობ კომპანია „საიმონს დეპარტამენტ სტორის“ მენეჯერად. მომხმარებელს ვთავაზობთ ყოველგვარ სამრეწველო საქონელს, მათ შორის სპორტულ ტანსაცმელსა და ინვენტარს (ველოსიპედები, ციკლინგები, გორგოლაქებიანი ციკლინგები, სკეტბორდის დაფები და ა.შ.)

ნაწარმს ხელშეკრულებით ვყიდით ბელგიაა და ავსტრიაში. დიდი სურვილი გვაქვს ჩვენი პროდუქცია თბილისშიც გამოჩინდეს. ამ მიზნით ვარ ჩამოსული. ● კონკრეტულად რა გეგმები გაქვთ, თანამშრომლობის როგორი გზა აირჩიეთ? — ვერ მხოლოდ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ. თანამშრომლობა ორმხრივი იქნება. გვესურს საქართველოში შევისყიდოთ ნედლეული ან გავცვალოთ იგი სხვადასხვა მზა პროდუქტში, თანაც აქ ნაწარმს. იმაზე ნაკლებ ფასებში გავყიდით, ვიდრე სხვა ქვეყნებს ვაძლევთ. ჩვენ თანახმა ვართ მოვაწოდოთ ის სპორტული ინვენტარიც, რომლის შექმნა ასე ღირს საქართველოში. ვითვალისწინებთ ბევრ რამეს და ამ ინვენტარს მსოფლიოს ბაზარზე შედარებით აქ იაფად შემოვი-

ტანთ. ეს ჩვენი ურთიერთობის გულწრფელობითაა ნაკარნახევი. ● როგორც შეგიტყვეთ, საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სიყვანსალისა და სპორტის საქველმოქმედო რესპუბლიკური ფონდს ამ დღეებში უცხოური ვალუტის ანგარიში გაუხსნია და თქვენ პირველი უცხოელი აბრძანდებით, ვინც ფონდში პირადი თანხა შეიტანა. — მივესალმები ასეთი ფონდის შექმნას. ქართველი ხალხი ბუნებით ქველმოქმედია. მოხარული ვარ, რომ თქვენი ახალი საქველმოქმედო საზოგადოების წევრი მეც გავხდები. როგორც სპორტსმენი, მე ხომ პროფკავშირულ სპორტულ საზოგადოებაში აღვიზარდე. ● წარმატებას ვისურვებთ! — მინდა გირწმუნო, რომ საქართველოში მუდამ მშვიდობა და ბედნიერება იქნება.

შინი, როგორც სპრათი გააფუჭა

(დასასრულში)

თარი კონკურენცია არ იგრძნობა, აფხაზეთიდან სპორტსმენების ჩამოსვლაზე მით უფრო სამწუხაროდ წარმოგვიდგება.

აპარეზობამ გვიჩვენა, რომ ნაფრების წევრთა ოსტატობა მთელი თავით მალდა დგას დანარჩენების სახე. რეზერვის მომზადების საქმეს უფრადღება არ ექცევა. არადა, უკვე ოთხი წელია, რაც გაიხსნა აბილიის განათლების სამმართველოს წყალთა ახეობების სპორტსკოლა, რომელსაც სინქრონულ ცურვაში ექვამი მწვრთნელი ჰყავს. სპორტსკოლას ამ წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გადაეღებინა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

რაც შეეხება ლიდერებს, აკადემიური აბილიის წინ სპორტსკოლაში თამაშების დონე მზადყოფნაზე რამდენიმე წელია, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, იანნი რამდენიმე წელია შეტრიალებულია გერმანიისგან და შეიძლება ითქვას, მთელი მონდობებით არც იბრძოდნენ.

რაც შეეხება საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებზე აპარეზობის ნაკრებებს, მანკებს, ვეიქრობთ, მას კარგი შესაძლებლობები აქვს, რომ სამივე სახეობაში მედლებისთვის იბძოლოს, რადგან სარბიელზე უკლებლივ ყველა ჩვენი უძლიერესი ოსტატი გამოვა, მათ შორის ფალსინიცი და მისურაძეც.

სასიამოვნოა, რომ ნაკრებში არიან ქუთაისის წარმომადგენლებიც, ნინო ჩანჭყელიანი და ელისო მარგველაშვილი. იანნი რეკაპიტაცი.

შის

ერთეულთა თანრიგი. ნ. ფალსინიცი — 186,70 ქულა, ნ. მისურაძე (ორივე — თბილისი). 183,28, მ. ჩანჭყელიანი (ქუთაისი) — 170,91. წყვილები. ფალსინიცი — მისურაძე — 185,32, ჩანჭყელიანი — გ. მარგველაშვილი (ქუთაისი) — 171,71, ტ. გულთაყვია — ე. ასათიანი (თბილისი) — 168,31. ჯგუფური. თბილისი (ასათიანი, გურთაყვია, მ. მელაძე, ნ. ლომო-

ურთაყვია, რა თქმა უნდა, ქუთაისელია) სახელს იცავდნენ, მაგრამ ჯგუფურ ასპარეზობაში თბილისის გუნდში გამოვიდნენ. საქმე ისაა, რომ ჯგუფურ ასპარეზობაში თბილისის გუნდი როგორც შემადგენლობითაც ახლა გამოვიდა, მთლიანად რეკაპიტაციის ნაკრები. ამდენად, მომავალი სტარტებისთვის უკეთ მოსამზადებლად უმჯობესი უფრო ნაკრების წევრებს ერთად ეაპარეზონ და ასეც მოხდა.

აპარეზობა

ურთაყვია, ნ. მისურაძე, მარგველაშვილი, ჩანჭყელიანი, ქუთაისი (თ. კლიაშვილი, ა. ჯაში, ნ. ნემსიწერეთი, ე. ჩადაგვა, ა. ხურციძე).

გუნდური. თბილისი, ქუთაისი. ჯგუფურ და გუნდურ შეჯიბრებაში მეექვსე საბრძოლო ადგილი მონაწილეთა სიმცირის გამო არ გამოაშუქდა.

ნოდარ ჯანგირაშვილის სლოგანის პრიზები

მე და ნოდარი მეგობრები არ ვყოფილვართ. ჩვენი კონტაქტები უფრო ეპიზოდური იყო — სამსახური, სპორტული ღონისძიებები თუ ქუჩაში შეხვედრა. მიუხედავად ამისა, იგი ყოველთვის ახერხებდა დიდი ადამიანური სიბოლო და ოპტიმიზმი გაგნაწილებინა ჩემთვის. და არა მარტო ჩემთვის. მისი გულმოდგინების სახეობაში არ ვქონდა. ალბათ ამიტომ, განგებნი ნებით, მისი სიცოცხლე მხოლოდ სამშობლოსადგის უნდა დახარჯულიყო და იგი დახარჯა ერთბაშად. 9 აპრილი, განთიადისას... ამ დღეებში თბილისში, თემქის დასახლებაში ვახტანგ ბალაიაძის სახელობის სპორტულ კომპლექსში მოეწყო შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ნოდარ ჯანგირაშვილის ხსოვნას მიეძღვნა. შეჯიბრებებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულ სსრკ-ის სპორტსკოლა „სინათლის“ თავიდანმართის მოადგილემ გურამ არაქელიძემ გაიხსენა ნოდარ ჯანგირაშვილის ცხოვრების ეპიზოდები. ისიც ითქვა, რომ 9 აპრილს ნოდარს უკვე მეოთხე წელი გამოპყავდა იმ ხოცვა-ჟლეტის სარბიელისგან, როდესაც სიცოცხლეს გამოასალმეს.

ჭიდაობის დაწყებამდე ნახევრობითი წრეში წინახვერის ტყუპები ბეჭენ და გიორგი კაბატაძეები დედასთან ერთად გამოვიდნენ. ბავშვებს დიდი ხის ხმალი ეჭირათ იმის სიმბოლოდ, რომ „კიდევაც დაიზრდებიან...“ შემდეგ გათამაშდა ჭიდაობის სცენა „ბაში აჩუკიდან“.

ლოლის ბაგუნიძე და ზურუნის ჭყვიტინმა სარბიელზე ჩოხიან მოჭიდებებს უხმო. გლდანელი და ლამისყანელი, წერეთელი და ახმეტელი, კაპაძე და საგარეჯოელი მოჭიდავეები ტოლს არ უღებდნენ ერთმანეთს.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა ვახტანგ ბალაიაძემ ნოდარ ჯანგირაშვილის სახელობის პრიზი გადასცა აკადემიურ სპორტის ოსტატს კობა კუპატაძეს.

ჭიდაობის დროს შეგროვდა შესაწირი 9 აპრილის დაღუპულთა ხსოვნის მემორიალისთვის — 261 მანეთი.

ეს მემორიალი ტრადიციულია გახდება, — გვითხრა ასპარეზობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ქართული ჭიდაობის დიდმა ერთგულმა რამიზონ ნუსხელიძემ (რომლის სცენარით ასე ლამაზად ჩატარდა ღონისძიება).



ამით გვიანდა ჩვენი მცირე წვლილი შევიტანეთ ნოდარ ჯანგირაშვილისა და 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავოებაში...

ს უ რ ა თ ე: ჭიდაობის მომენტი; ვახტანგ ბალაიაძემ ნოდარ ჯანგირაშვილის სახელობის თასი გადასცა შეჯიბრებაში გამარჯვებულ კობა კუპატაძეს; 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალის შექმნის ყულაბასთან. ჯ. კახიანი ტექსტი და ფოტოები.

კონკურს-დათვალიერება

ყველაზე შედეგიანი

სპორტული სკოლა, რომელიც ააშენდა

ახლახანს ცნობილი გახდა, რომ პროფკავშირების ჭიდაობის ოლიმპიური რეზერვების სკოლა 1988 წლის შედეგების მიხედვით აღიარეს საუკეთესოდ რეკაპიტაციის სპორტულ სკოლებს შორის. ჩატარებული კონკურს-დათვალიერებისას აღინიშნა, რომ სკოლაში შესანიშნავად წარმართავენ სასწავლო-საწვრთნო პროცესს, რისთვისაც სკოლა რეკაპიტაციის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების პრეზიდიუმის დადგენილებით (სპორტული ფორუმის შესაძლებლად).

აგრე სკოლა სპორტსაზოგადოება „განთიადს“ ეკუთვნის. 1987 წლიდან კი, სპორტსაზოგადოებების ვაერთიანების შემდეგ იგი ახლანდელით სხვით ჩამოყალიბდა. გასული 1988 წლის შედეგების გახსენება სასიამოვნოა არა მარტო გულშემატკვრელთათვის, არამედ თვით სკოლის მწვრთნელებისათვისაც, რადგან ამ სკოლის წარმომადგენლებმა ამირან ტრეტიაშვილმა და ვიკო თენაძემ სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლები მთავრეს და ამავე 1988 წელს ზანდენეერობის ჩემპიონატის მედალოსენები.

გასულ წელს თავი გამოიჩინეს აგრეთვე თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა გიორგი ხინჩიკაშვილმა და ზაზა ზოზორიძემ, რომლებმაც გაიმარჯვეს ევროპის ჩემპიონატზე იუნიორთა შორის, შემდეგ კი უკვე მსოფლიო პირველობაზე გ. ხინჩიკაშვილმა II ადგილი დაიკავა.

გასულ წელს წარმატებით იასპარეზეს და ჰაბუკთა საკავშირო თამაშების ჩემპიონები ვახტანგ ვეფხია ავალიანი, ვიკო კირაკოზაშვილი, გიორგი ხინჩიკაშვილი, ზაზა ზოზორიძე, მურთაზ თურქია, ბადრი დიდუბაშვილი კი მოიპოვეს III საპრიზო ადგილი. გასულ წელს სკოლის აღსაზრდელთაგან 7 სპორტსმენი იყო მიწვეული სსრკ ჰაბუკთა ნაკრებში, 4 — ახალგაზრდული.

ლოს, 5 — მოზარდთა ნაკრებში. გასულ წელს სკოლაში 16 სსრკ სპორტის ოსტატი მოამზადეს. ნაკრები შრომას ეწევიან სკოლის მწვრთნელები, გორგო ნუგზარ სხიველი, რომელმაც 2 ევროპის ჩემპიონი და 1 მსოფლიოს II პრიზიორი აღზარდა, ზურაბ კორტიაშვილი — ა. ტრეტიაშვილისა და ბ. დიდუბაშვილის მწვრთნელი, გორგო იოსებ ფუხაშვილი — ახლანდელი თენაძეების მწვრთნელი, შალვა მელაძე — მსოფლიოს ჩემპიონის ჯემალ მკვლიშვილის აღზრდელი. არაიან იფეიქოს, რომ სკოლას სულ დასრულებული ცხოვრება აქვს... არის სხვადასხვა პრობლემები. რეკაპიტაციაში სპორტული ბაზების ნაკლებობის გამო ქიზის მოჭიდავეთათვის სპორტული ბანაკების გამოყოფა, რათა ზაფხულის არდადეგების დროს მოზარდ სპორტსმენებს არ დაეარღვეთ ვარჯიშის ციკლი. დარბაზებისა და სპორტული ინვენტარის მწვავე ნაკლებობა განსაკუთრებით იგრძნობა პერაფერებში.

მთელი ყურადღება ამჟამად გადაიტანა ახალგაზრდული საკავშირო IV ახალგაზრდული თამაშებისაკენ, — გვითხრა სკოლის დირექტორმა დილარ ზაბულოანმა, — სადაც ჩვენი სკოლის აღსაზრდელებიც იასპარეზებენ. თუ გასულ წელს ჰაბუკთა თამაშებზე 4 ოქროს მედალი მოვიპოვეთ, იმედია გვაქვს ამჯერად უფრო უკეთ გამოვალთ, განზრახული გვაქვს სპორტული სკოლებს შორის ყველაზე მეტი ქულა შევიძინოთ რეკაპიტაციას. ჩვენი სკოლა, როგორც მოგვხსენებთ, არის რეკაპიტაციური სკოლა, თითქმის ყველა რაიონში გვყავს მწვრთნელები, მაგრამ... სპორტული ბაზა თბილისშიც კი, იჯარით გვაქვს აღებული — ჩვენ იფე სპორტსაზოგადოების სპორტბაზაბაბაბა სამმართველოსაგან, რისთვისაც წელიწადში 37 ათას მანეთს ვინდით.

ბიკა ბურდული.

სსრკ-ის უკვდავსაყოფად

9 აპრილს თბილისში მთავრობის სახლის წინააღმდეგარე მოედანზე დატრიალებული ტრაგედიის დროს განსაცდელში ჩაგარდნილი უმწიფო გოგონების სიკვდილიან ხსენის დროს თავად დიდუბა ჯანგირაშვილი თავისი სპორტული მუშაობის, შესანიშნავი სპორტული მუშაობის, ფიზიკულური ინტელექტის სტუ-

დენტი ნოდარ ჯანგირაშვილი. წინადადებით შემოგვიყარა—თბილისელ ტრანსპორტელთა სპორტსკოლა „სინათლის“, სადაც ეს შესანიშნავი პიროვნება მუშაობდა და ამავე კულბის პატივს სწავლის ნოდარ ჯანგირაშვილის სახელი.

ვაჟა ნუსხიაძე.



სპორტული სკოლის ნაწილი

თბილისის მ. კეკელიძის სახელობის კალათბურთის სპეციალიზებულ 58-ე საშუალო სკოლის დირექტორის სახელით ამ სკოლის დირექტორმა მერაბ კეკელიძემ გვა-

ცნობა: თბილისში 9 აპრილს დაღუპულთა და მათთან აკრებულ სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა ფონდში სპორტულმა სკოლამ 1330-1330 მანეთი შეიტანა.

საქართველოს ჩემპიონატი ცურვაში

ჩაღები. თავისუფალი სტილი. 50 მ. ნ. მუსიევა — 29,1, ზინდრიშვილი (ორივე—თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) — 29,7, ნ. მარტინოვა (თბილისი; „ბურევესტნიკი“) — 30,3; 100 მ. მუსიევა — 1.00,9, ზინდრიშვილი — 1.04,31, ზ. სტარეცკაია (ქუთაისი) — 1.04,40; 200 მ. ზინდრიშვილი. 2.17,65, ზ. მუსიევა (თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) — 2.17,67, მუსიევა — 2.17,79; 400 მ. ზინდრიშვილი — 4.50,67, თ. კიკინაძე (თბილისი, „დინამო“) — 4.50,69, მუსიევა — 4.54,50; 800 მ. შიპიკოვა — 10.05,19, სტარეცკაია — 10.07,71, ნ. ზოსიმოვა (თბილისი, „დინამო“) — 10.10,95; ესტაფეტა 4X50 მ. თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება — 1.58,49, თბილისი, „დინამო“ — 2.00,1, თბილისი, „ბურევესტნიკი“ — 2.02,58. 4X100 მ. თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება — 4.22,57, თბილისი, „დინამო“ — 4.26,63, ქუთაისი — 4.38,08; 4X200 მ. თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება — 9,26,9, თბილისი, „დინამო“ — 9,30,6, ქუთაისი — 9,56,2; გულაშა. 50 მ. რატიანიძე (თბილისი, „დინამო“) 33,2, ლ. ალიკიანი (თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) — 34,5, ი. ქორჩილაძე (თბილისი, „შრომითი რეზერვები“) — 34,7; 100 მ. რატიანიძე — 1.11,02, ალიკიანი — 1.16,49, ქორჩილაძე — 1.16,53; 200 მ. რატიანიძე — 2.35,19, კიკინაძე — 2.42,88, ქორჩილაძე — 2.43,99; ბრაზი. 50 მ. ი. ბიკოვა — 34,8, დ. სვინიჩენკო (ორივე—თბილისი, „დინამო“) — 35,0, ნ. მელაძე (რუსთავი) — 35,5, 100 მ. სვინიჩენკო — 1.16,45, ბიკოვა — 1.16,69, მელაძე — 1.19,67; 200 მ. სვინიჩენკო — 2.47,87, ბიკოვა — 2.54,80, მ. ანდრიანი (თბილისი, „დინამო“) — 2.55,68; ბატერფლაი. 50 მ. ზოსიმოვა (თბილისი, „დინამო“) — 31,2, მ. საფარიანი (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 31,4, ფ. ტალახაძე (თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) — 32,0; 100

მ. ა. ელიზბარაშვილი (თბილისი, „დინამო“) — 1.09,35, ტალახაძე — 1.10,6, აფარანი — 1.10,67; 200 მ. საფარიანი — 2,34, 51, ტალახაძე 2.44,19. მ. ფუხაევა (რუსთავი) — 2.53,51. კომპლექსური ცურვა. 200 მ. ელიზბარაშვილი — 2,33,02, ა. გოგოლევა (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 2,37,8, ლ. კიკინაშვილი (თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) — 2,42,19, 400 მ. ელიზბარაშვილი — 5,26,07, საფარიანი — 5,34,65, რატიანიძე — 5,44,91. კომპინირებული ესტაფეტა. 4X100 მ. თბილისი, „დინამო“ — 4,45,05, თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება — 4,57,64, თბილისი, „ბურევესტნიკი“ — 4,59,78.

ვაეები. თავისუფალი სტილი. 50 მ. ა. დავითიანი (თბილისი, „დინამო“) — 24,9, მ. დავითაია (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 25,2, გ. დატეშიძე (თბილისი, ასე) — 25,6; ი. არტიომოვი (თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) — 54,42, დავითაია — 55,69, ა. მეცხვარიშვილი (თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) — 56,09; 100 მ. არტიომოვი — 1,57,75, ა. კიკინაშვილი (თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) — 2,02,95, მეცხვარიშვილი — 2,03,49; 400 მ. არტიომოვი — 4, 12,40,

ზ. ზურაბაშვილი (თბილისი, „დინამო“) — 4,22,35, პ. დანილენკო (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 4,27,25; 1500 მ. კიკინაშვილი — 17,22,4, მეცხვარიშვილი — 17,31,4, ლ. ნეველიშვილი (თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) — 17,47,6; ესტაფეტა 4X50 მ. თბილისი, „დინამო“ — 1,44,26, თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება — 1,44,73, რუსთავი — 1,45,86; 4X100 მ. თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება — 3,52,31, რუსთავი — 3,54,02, თბილისი, „დინამო“ — 3,55,36; 4X200 მ. თბილისი, „დინამო“ — 8,32,52, თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება — 8,37,26, რუსთავი — 8,39,37; გულაშა. 50 მ. ო. ოსკოლოვი (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 29,3, თ. გუგუბერიძე — 29,6, დ. ნიკარაძე (ორივე—თბილისი, „დინამო“) — 30,0; 100 მ. გუგუბერიძე — 1,08,16, ოსკოლოვი — 1,03,17, ნიკარაძე — 1,03,82; 200 მ. გუგუბერიძე — 2,17,37, ზ. გელიგაშვილი (თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) — 2,19,34, ნიკარაძე — 2,19,39; ბრაზი. 50 მ. გ. კოსტინი (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 32,8, ე. ბაკლაგოვი (რუსთავი) — 33,6, ი. საყვარელიძე (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 33,6; 100 მ. არტიომოვი — 1,10,06, გ. აბზიანიძე (თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება) — 1,10,64, კოსტინი — 1,12,88; 200 მ. აბზიანიძე — 2,30,21, კოსტინი — 2,38,44, გ. ზოლოტაროვი (რუსთავი) — 2,43,97; ბატერფლაი. 50 მ. დავითიანი—26,2, დავითაია — 26,7, გუგუბერიძე — 27,6; 100 მ. დავითიანი — 59,35, ვ. ერმოლაევი (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 1,00,77, დავითაია — 1,00,86; 200 მ. დავითიანი—2,11,32, ერმოლაევი — 2,16,52, თ. კვიციანი (ქუთაისი) — 2,17,01; კომპლექსური ცურვა. 200 მ. დავითაია — 2,18,9, კვიციანი — 2,18,9, ბაკლაგოვი — 2,23,7; 400 მ. კვიციანი — 4,55,75, გ. ბახტაძე (თბილისი, „დინამო“) — 5,03,15, ს. კოლესნიკოვი (რუსთავი) — 5,06,49; კომპინირებული ესტაფეტა. 4X100 მ. თბილისი, „ბურევესტნიკი“ — 4,12,9, თბილისი, „დინამო“ — 4,14,9, თბილისი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება — 4,26,8.

გუნდური: „დინამო“, თბილისი — 1705 ქულა, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, თბილისი — 1516, „ბურევესტნიკი“, თბილისი — 1372, რუსთავი — 781, ქუთაისი — 632, აჭარა — 278, ხობი — 132.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში

უჩვეულოდ უხვპოლიანი

თბილისი. „ლელო“ (თბილისი) — სსრ (შონინი) 22:22 (16:16).

„ლელო“: ხაყერაძე (დვინი-აშვილი, 44); ა. ხვედელიძე, კვიციანი, თაყაიძე, ნატროშვილი; ჩაველიშვილი, ქერაული (გაბრიანიძე, 88); ვაგნიანი (ბაკურაძე, 44); კაკაბაძე, კ. გიუნაშვილი; ჯაფარიშვილი, შექვაბიშვილი, რაფაეა, გ. გიუნაშვილი; ზუაფი.

სსრ: ვორობაიძე; შამოტა, ნეჩაევი, ვინოხოდოვი, ხუბოვი; შირონოვი (კახატიანი, 58), ფრანცულოვი; კორიაშინი, ზურაბიშვილი (ფილდოროვი, 44), ბორისოვი; კუშნაროვი; კლიმენკო (ემელიანოვი, 78), მუსხელიანი, ტახტაძე; კირიაკოვი.

მაჯი — მიხეილ არხიპოვი (მოსკოვი).

გოლები: „ლელო“ — 3 ლელო (8, ნატროშვილი; 25, ხაყერაძე; 34, ჩაველიშვილი), 2 გარდასახვა (28,85, ნატროშვილი), 2 არგინი (57, თაყაიძე; 83, ჩაველიშვილი); სსრ — 3 ლელო (11, კორიაშინი; 30, ტახტაძე; 41, ზურაბიშვილი), 2 გარდასახვა (12,31, შირონოვი), 2 საჭარბო (45, შირონოვი; 70, ვორობაიძე).

ძველი მეტოქეების ორგანიზაციის დადებული შეხვედრა ბოლოს და ბოლოს შეუდგინდა პაპანაძეებში ჩატარდა. ეტყობა, ამის ბრალი იყო, ორივე გუნდის შორაგბეებში დაცვაში ჩვეული შემართებით რომ ვერ თამაშობდნენ. ანგარიში შესაფარი „მელო“ უკვე პირველ ნახევარში ექვსი ერთმანეთზე უკეთესი ლელო გავიდა და მეტოქეებშიც საერთო მცდელობით 32 ქული მოაგროვეს. მიუხედავად იმისა,

რომ მსაჯი ცდილობდა, მოასპარეზეთა უმცირესი უზუატობაც კი არ დარჩენოდა შეუძენველი და დაუსჯელი, თამაში მიიწვ საამო საკერი გამოდგა. ამაში უთუოდ დიდი დამსახურება მიუძღვით მასპინძლებს, რომლებიც ანგარიშიანად, ფეხით მოთამაშე გავარინელებისაგან განსხვავებით, ბურთის ხელით გათამაშებას, ცდილობდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ მესამე ხაზის მორკინალები — ვი გიუნაშვილი, რეზო ჯაფარიშვილი და შერკინების შემკვერლად პირველად მოთამაშე, აგრესიული და სწრაფი თამაზ ხუაფი. კარგად ითამაშეს აგრეთვე დამო ჩაქლი-

იშვილი და ვანო საცერაძემ. ჩაველიშვილი მშვენიერი გარღვევები განახორციელა და ბრწყინვალე არგინიც შეაგდო, მცველმა საცერაძემ კი შეტევებში სისტემატური ჩართვით „ცხოვრება ცაქურა“ სტუმრებს არანაკლებ ეფექტური იყო თავისი ვატანელი არგინი და ბურთის მოწოდებისას ქაბუჯ ვი რაფაეას მიერ ორი ხელით მოგებული ბურთები. მთ უფრო გასაკვირია, რომ გუნდის მეტი წილი ესოდენ ბრწყინვალე თამაში გამარჯვებით არ დაგვირგინდა. არადა, ჩვენებს მონინოს გუნდისათვის ადგილი უკვე ექვსი წელია არ მიუვით. საკითხავია, როდემდე?



„ლელო“ და სსრ-ს შეხვედრაში აქტიური და ეფექტური თამაშით გამოირჩეოდა თბილისელთა მცველი ვანო საცერაძე (№15). ამ სურათზე ის მომენტია აღბეჭდილი, როცა მას მეორე ლელო გააქვს მონინოვლთა კარში.

გათამაშების ცხრილი

Table with columns for teams (სსრ, ეტს), goals scored, and other statistics. Rows include teams like 'სსრ', 'ეტს (კრანს)', 'ლელო', etc.

დღეს, XIII ტურში, „აია“ უმასპინძლებს სსრ-ს, „ლელო“ კი „ლელო“-ს. „ლელო“-ს, 18 საათზე, კრანიათარსკელებს ეთამაშება.

დანიანურდა

„დებროიტ პისტონი“

ნიუ-იორკი. პროფესიული კალათბურთის ლიგის (ნბა) ფინალური სერიის პირველი შეხვედრა „დებროიტ პისტონს“ მოუგო შარშანდელ ჩემპიონს „ლოს-ანჯელეს ლიკერსს“ ანგარიშით 109:97 (გამარჯვებული ამ სერიებში ოთხი მოგების შემდეგ გამოვლინდება). ეს გუნდები შარშანდელ თამაშობდნენ ფინალში. მაშინ გამარჯვება ლოს-ანჯელესელთა კალათბურთელებმა მოიპოვეს — 4:3. უნდა აღინიშნოს, რომ „ლეიკერსი“ ნბა-ს ჩემპიონი ექვსჯერ იყო, „დებროიტს“ კი, რომელიც ოთხჯერ იბრძოდა ფინალში, გამარჯვებისთვის არც ერთხელ არ მიუღწევია.

კოკალარული და ნაკლავადკოკალარული სახეობები

დასავლეთგერმანიის პრესაში საინტერესო მასალები იბეჭდება სპორტში მომეცადინეთა ზრდის ან კლების შესახებ. დღეისთვის ამ ქვეყანაში ყველაზე პოპულარული სპორტად ითვლება ჩოგბურთი, ვინაიდან მასში მომეცადინეთა რიცხვი 765 ათასი კაცით გაიზარდა. ეროვნული ფედერაციამ მონაცემებით ჩოგბურთში სისტემატურად ვარჯიშობს 2 მილიონზე მეტი ახალგაზრდა (ნაბატი 60 პროცენტს შეადგენს). პრესის მონაცემებით ყველაზე დიდ დანაკლისს განიცდიან ცურვის, ნიხოსნობისა და წყალსახბლამურო სპორტის ფედერაციები. მოვარჯიშეთა რიცხვი ამ სახეობებში მკვეთრად კლებულობს.

„სპორტპროგნოზი“

23-ე ტიპის უაღრესი (4-5 ივნისი) 1-1, 2-X, 3-1, 4-2, 5-1, 6-1 7-1, 8-1, 9-X, 10-1, 11-X, 12-1, 13-X. უნივერსალ: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

გაუთვალისწინებელი შესვენება

რეზი. „ჯირო დ' იტალიას“ მრავალდღიანი ველოტობოლაზე გაუთვალისწინებელი ერთდღიანი შეყვენება გამოატანდა: ეს გამოიწვია ალპების მთიან გზებზე თოვლის ჩამოწოლა. რბოლის მონაწილენი ავტომობილებით გაიყვანეს უსაფრთხო რაიონში და შეჭობრება მეორე დღეს განახლდა. მე-16 ეტაპი (137 კილომეტრი) ძლიერი აბურტით ავსტრალიელმა ფილ ანდერსონმა მოიგო — 3:44:25. უახლოეს მეტოქეებს მან 4 წამით აჯობა, გზუფი კი მთელი 15 წამით ჩამოიტოვა. საბჭოთა ველოსპედიტები სწორედ ამ ჯგუფში იყვნენ. რიგგარეშე პიოტრ უგრიუშოვი და კიეველი ვლადიმერ პუნიკოვა შეინარჩუნეს პოზიციები (მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე ადგილები).

ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი

„ჩიკაგოელი ხარბი“ — აქ იწოდება ქართული პროფესიული კლუბი „ჩიკაგო ბლუსი“, რომლებიც აქტიურ რბოლს თამაშობენ ნბა-ს ჩემპიონატში. ჩიკაგოელთა პატივმოყვარულ პრეტენზიებს საკვებით სამართლიანად უკავშირებენ მწვრთნელ დავ კოლინზის და წამყვანი მოთამაშის მაიკლ ჯორდანის სახელს (ეს სწორედ ის კოლინზია, რომელმაც მიუხედავად ოლიმპიადებზე დაუვიწყარ ფინალურ მეტრში სამი წამით ადრე ზუსტად შეასრულა ორი საჯარიმო სროლა. ანგარიში გახდა 50:49 ამერიკელთა სასარგებლოდ. ამის შემდეგ იყო ის დაუვიწყარი სამი წამი, რომელიც გულშემატკვირებს კარგად ახსოვთ). ამიტომ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ახლოს გავიცნოთ ჩიკაგოელთა უფროსი მწვრთნელი. 37 წლის დავ კოლინზი კალათბურთის ეროვნული ასოციაციის შემადგენლობაში ყველაზე ახალ-

დანიანურდა

რობოლის ერთობრთველ კლიდერა ლორან ფინიონს (საფრანგეთი) ჩვენი ველოსპედიტები მ-2 წუთით ჩამორჩებიან. იტალიელი ფლაგო ჯიბონი მეორე საპრიზო ადგილს ინარჩუნებს (ფინიონს თითქმის 2 წუთით ჩამორჩება). მესამე ადგილზეა „ჯიროს“ შარშანდელი ჩემპიონი ამერიკელი ენდრიუ ჰემპტენი.

პიდავ პიტი დღე...

პარაჩი. ბათუნი და ჩემპიონატზე უნდა ტურის სენსაციური შედეგები შენობე მოლონერი შედაგებით მიიღეს წარმართის მსოფლიო უძლიერესმა ჩოგბურთელმა ქალმა შტეფი გრაფამ მორიგი შეხვედრაც ადვილად მოიგო ესპანელ კონჩიტა მარტინესთან — 6:0,6:4. მეორე ესპანელმა გოგონამ არანტა სანჩესმა კი გამოცდილ ჩეხოსლოვაკელს იანა ნოვოტნას აჯობა — 6:2, 6:2.

გაოცებას იწვევს 15 წლის იუგოსლავიელის მონიკა სელეშის სტაბილური თამაში. ბოლოსწინა ტურში მან ამერიკელი ზინა პარისონი დაამარცხა. მეოთხედფინალში კი ბულგარელ მანუელა მალეიკას აჯობა — 6:3, 7:5.

ვათა ერთგულების მეოთხედფინალში დასავლეთგერმანელმა ბორის ბეკერმა ადვილად მოუგო ამერიკელ ჯი ბერგერს — 6:3, 6:4, 6:1.

მოზრდილთა ტურნირის პარალელურად აქ დივიზიო იუნორთა შეჯიბრება ნატალია მედვედოვამ მეორე შეხვედრაში უნგრელი ვირაგ ჩურგო დაამარცხა — 6:3, 7:6.

მეორე ტრფოვს

საფრანგეთის ლია ჩემპიონატის წინ ცნობილი ამერიკელმა ჩოგბურთელმა კრის ევერტმა გადაწყვიტა არ გამოსულიყო შეჯიბრებაში და უკან გაემგზავრა სამშობლოში. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ევერტმა შეეცადია საერთაშორისო ტურნირის სტარტზე მარცხი განიცალა 19 წლის ავსტრიელ ბარბარა პაულუსთან.

ევერტს საფრანგეთის ლია ჩემპიონატი შეიძვერ აქვს მოკეტული. იგი ამავე დროს, უიმბლდონის სამგზის ჩემპიონია. ექვსჯერ გამარჯვა აშშ-ის და ორჯერ ავსტრალიის ჩემპიონატში. 34 წლის ჩოგბურთელი სულ მალე მიიღებს გადაწყვეტილებას დაანებოს თუ არა თავი სპორტს.

დანიანურდა მსტრალის რინეზე

ქანზარა. ავსტრალიის ამ ქალაქში ოლიმპიური ჩემპიონი კრისტი ვიანესლაე იანოვსკი (სსრ კავშირი) 20 წლის ადგილობრივ მოკრივეს გრეგემ ჩეინის შეხვდა. ბრძოლა ექვსი, ორწუთიანი რაუნდით დასრულდა (ცვლებადი უპინსწორობით გამოიყვანა იგი). მეექვსე რაუნდში იანოვსკი კინალამ ნოკაუტი აღმოჩნდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს შესლო ფეხზე წამოდგა: ამის შემდეგ ბრძოლის ბედი უკვე ემპს არ იწვედა. სეულს ოლიმპიადებზე ეს მოკრივეები ერთხელ უკვე შეხვედნენ ერთმანეთს. მაშინ გამარჯვება იანოვსკის დარჩა.

Table with columns for event names (e.g., 'სპორტპროგნოზი'), dates, and other details. It lists various sports events and their scheduled dates.

რედაქტორი თ. შანიჩილაძე. თბილისის დ. დომობროვის სახელმწიფო საპროცენტო ქარხნის 'შეპარდენის' სტამბოში 10 ივნისი 1989 წ. II ლიფა, IX ზონა 'შეპარდენი' (თბილისი) 'შეპარდენი' (გროდიშჩი) დასაწყისი 19 საათზე

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპრეტებისთვის — თბილისი, 'ლელო'.

ჩვენი მისამართი: წერილების განყოფილება — 98-97-55, სამკვნი — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-53, 'მერანი' — 98-97-26, 'მარტვი' — 98-97-27.

საქართველოს კვ. ც. -ის გამოცემლობის შრომის წითელ დროშის ორდენის მქონე სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. აბეჭდება ოცხეტური წესით საჯარო კორპუსში: ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10875